ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის გზამკვლევი

2023 წელი, დეკემბერი

სარჩევი

შესავალი 3

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 6

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 11

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 13

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი 15

ბიუჯეტის შემოსულობები 15

ნაშთის ცვლილება 18

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 19

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 23

ინფრასტრუქტურის განვითარება 26

დასუფთავება და გარემოს დაცვა 31

განათლება 33

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 35

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 43

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 51

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს მიერ დაუბრუნდა მერიას. ბიუჯეტის პროექტის განახლებული ვარიანტი წარედგინა საკრებულოს 10 დეკემბრისთვის. წარმოდგენილი გზამკვლევი სწორედ ბიუჯეტის პროექტის ამ ვარიანტ ასახავს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს. კაპიტალური ტრანსფერი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახება მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2024 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2023 წლის 11 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 1 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს და განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში ან 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრი — ქ. ახალქალაქი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში შედიოდა, 1921-30 წლებში — აღმოსავლეთ საქართველოს ახალქალაქის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

მუნიციპლალიტეტი მდებარეობს ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, რომლის სიმაღლე 1500-დან 3300 მ-მდე მერყეობს. პლატოს ზედაპირი ტალღობრივი ვაკეა, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია სამსრის ქედი (უმაღლესი მწვერვალი მთა დიდი აბული — 3301 მ). ტერიტორია — 1235 კვ.კმ., მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 990 კვ.კმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ფარავანი, ჭობარეთი, ბარალეთისწყალი. ტბებიდან აღსანიშნავია კარწახის ტბა, ვაჩიანის ტბა, მრუდე ტბა.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება სასარგებლო წიაღისეული: ვულკანური წიდა (სოფელი ზაკვი), პემზა (სოფლები სულდა და ოკამი) და პერლიტი (სოფელი სულდა).

მუნიციპალიტეტში 65 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 64 სოფელი. ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საკრებულო. მმართველობის ტერიტორიული ერთეულებია:

- 1 ქალაქი — ახალქალაქი
- 22 თემი — ქ. ახალქალაქი, აზავრეთი, ალასტანი, არაგვა, ბარალეთი, გოგაშენი, ვაჩიანი, ზაკვი, კარტიკამი, დილისკა, კარწახი, კოთელია, კოჩიო, კუმურდო, ოკამი, პტენა, სულდა, ტურცხ, ხავეთი, ხანდო, ხოსპიო, ჩუნჩხა.
- 64 სოფელი — აზავრეთი, ბურნაშეთი, ღადოლარი, ლომატურცხი, ალასტანი, ვარევანი, კოკიო, არაგვა, მაჯადია, კორხი, თოთხამი, ორჯა, ბარალეთი, იხტილა, მერენია, დიდი სამსარი, პატარა სამსარი, ვაჩიანი, მურჯახეთი, ჩამძვრალა, გოგაშენი, აფნია, კუმურდო, კიროვაკანი, დილისკა, ზაკი, ბალხო, ბუღაშენი, გომანი, ოლავერდი, ტრკნა, კარწახი, ფილიპოვკა, კარტიკამი, კულიკამი, ხულგუმო, აბული, ბუზავეთი, თახჩა, კოთელია, კოჩიო, ბეჟანო, ალათუმანი, აგანა, მოდეგამი, სირკვა, ოკამი, ქარცეფი, აზმანა, პტენა,

სულდა, დადეში, მიასნიკიანი, ბოზალი, ტურცხი, ხავეთი, დავნია, ერინჯა, ხანდო, ხოსპიო, ბავრა, ხორენია, მარტუნი, ჩუნჩხა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულისამსახურის მონაცემების მიხედვით 2022 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 40,1 ათას კაცს შეადგენს (გრაფიკი #1). მოსახლეობის 92% სომეხია, 6,8% - ქართველი.

გრაფიკი #1



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

სოფლის მეურნეობაში წამყვანია მეცხოველეობა, მოჰყავთ საგაზაფხულო ხორბალი და კარტოფილი. მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ძირითადი დარგია კვების მრეწველობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რკინიგზის ხაზი (მარაბდა-ახალქალაქი), რომელიც 2018 წლის გაზაფხულიდან დაუკავშირდა სასაზღვრო პუნქტ კარწახს და რომელმაც ერთმანეთთან შეაერთა საქართველოსა და თურქეთის რკინიგზები.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: https://akhalkalaki.gov.ge/

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორცილედება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ

მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 84,6% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2022 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #3



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (8%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. 2020 წლიდან გათვალისწინებულია სპეციალური ტრანსფერი, როგორც შეადგენს შემოსულობების მნიშნელოვანი ნაწილი(18,5 %)

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები. შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები.შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2022 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

<u>გრაფიკი #4</u>



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან

დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

<u>გრაფიკი #5</u>


არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე
არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში
პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა
თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს
არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2022-2024 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8



ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2024 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული წლის მაჩვენებელს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2022 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც

გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #9



გრაფიკი #10

საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 6,4 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 16,0 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 85,5% შეადგინა. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები

პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #11-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #11



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლები ახალქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 12,1% (2,270.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 0,7% (130.0 ათასი ლარი). ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

გრაფიკი #12



ნაშთის ცვლილება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გრაფიკი #13



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები (10 დეკემბრის მდგომარეობით) განსაზღვრულია 18.7 მლნ ლარით (გრაფიკი #14).

გრაფიკი #14





გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2022-2024 წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2022-2024 წლები).

<u>გრაფიკი #15</u>



	მმართველობა	ინფრასტრუქტურის განვითარება	დასუთავება და გარემოს დაცვა	განთლება	კულტირა და სპორტი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
2022	4549.8	10187.2	890	2832	1660.1	1651.8
2023	5077.8	13135.8	1049.9	3356.5	2049.2	1787.9
2024	5728.2	5476	1006.8	3481	2106.4	1895.7

* გრაფიკი #16*



	მმართველობა	ინფრასტრუქტურის განვითარება	დასუთავება და გარემოს დაცვა	განთლება	კულტირა და სპორტი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
2022	20%	49%	4%	13%	7%	6%
2023	19.20%	49.60%	4.00%	12.70%	7.70%	6.70%
2024	31%	24%	5%	19%	11%	10%

2022 2023 2024

გრაფიკი #17



2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარებში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	5 728,2
ინფრასტრუქტურის განვითარება	4 466,3
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 006,8
განათლება	3481,0
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2 106,4
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 651,8
სულ ასიგნებები	**18 684,4**

გრაფიკი #18



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 5728,2 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 30,6%-ს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19





2024 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება

ათასი ლარი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**5,728,5**
საკრებულო	1,390,1
მერია	3,984,0
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	0

სარეზერვო ფონდი	250.0
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	102,1
სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება	2.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



ინფრასტრუქტურის განვითარება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 23,9% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 4 466,3 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისთვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21



2024 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

ათასი ლარი

		სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 232,8	1 232,8	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	334,3	334,3	-
02 03	გარე განათება	416,9	416,9	-
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1 933,2	1 933,2	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	550,0	550,0	-

<u>გრაფიკი #22</u>





<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სასოფლო გზების რემონტსაც.

- ქ. ახალქალაქი, N14 ს/ქ ქუჩების მოასფალდება
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩამძვრალის სასოფლო გზის რეაბილიტაცია
- სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა

<u>წყლის სისტემების განვითარების</u> პროგრამა - პროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციასა და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას.

პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

პროგრამის მიზანია:

- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;

- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;
- წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.

წყლის სისტემის განვითრების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა.

წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიატაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

- ქ. ახალქალაქი აღმაშენებელი ქუჩაზე არსებული წყლის ცენტრალური არხის აღდგენა
- ქ. ახალქალაქის ყოფილი პირველი სამხრედო ქალაქის კანალიზაცის აღდგენა

<u>გარე განათების პროგრამა</u> - ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში და ადმინისტრაციულ ერთეულებში (დასახლებულ პუნქტში). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება.

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოტაცია - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა- მოსახლეობის განწყობის ამაღლება.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემო შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა
- მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზისა და ელექტროენერგიის მრიცხველების დაყენება
- შუქნიშანების მოვლა
- ნაგვის ურნების შეძენა
- სამოქალაქო ბიუჯეტი (ეკრნი)
- ქ. ახალქალაქი, აღმაშენებელის ქუჩის მინი სტადიონის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქი მე-15 ს/ქ-ის პარკის აშენება
- ქ. ახალქალაქის თავისუფლედის ქ. #70 შენობის ფასადის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქი მ. სარგსიანის ქუჩაზე არსებული პარკის აღდგენა
- ქ. ახალქალაქის ცენტრალური პარკში კაფებარის აშენება
- ქ. ახალქალაქის ამირანის გორაზე არსებული ფანჩატურების რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქი, შოთა რუსთაველის ძეგლის აღდგენა და კეთილმოწყობა
- ქ. ახალქალაქი, N3 საბავშვო ბაღთან პარკის მოწყობა
- ქ. ახალქალაქი, მრავალსართულიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია
- ქ. ახალალაქის ცენტრალური პარკთან არსებული შენობის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქის ახალი სასაფლაოს ტერიტორის მოწყობა

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 5,4% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,006,8 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგელებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23



ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი 2 პროგრამა: დასუფთავება და ნარჩენების გატანა - (911,5 ათასი ლარი) და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (95,3 ათასი ლარი).

გრაფიკი #24



<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</u> - ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.

დასუფთავების ღონისძიბებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითდად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალლური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი,კუმურდო,ხოსპიო,გომანი,ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა , ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელებზე.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 90,5 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი.

პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.

<u>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.

პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ახალქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.

განათლება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 3 481,0 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #25-ზე. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის (10 დეკემბრის მდგომარეობით) მონაცემები წინა წლებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამებს, რომლებლთა დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ტრანსფერით..

<u>გრაფიკი #25</u>



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2022-2024 წლების ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2022-2024 წლებში (ათასი ლარი)

	2022	2023	2024
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 875,4	2 538,9	3 481,0
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	663,3	512,1	0,0
საჯარო სკოლების დაფინანსება	293,3	305,5	0,0
სულ	**2 832,0**	**3 356,5**	**3 481,0**

<u>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება</u> - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.
შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სრული საბავშვო ბაღი

და 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1200 -ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 270 ადამიანი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:

- ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
- საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
- ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
- ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა;
- ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
- ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

<u>სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა</u> - პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

•

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 2 106,4 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 11,3%-ია.

<u>გრაფიკი #26</u>



პრიორიტეტის ფარგლებში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 2 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**ათას ლარში**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 055,3
05 02	კულტურის განვითარების ხელსეწყობა	1 051,1
	სულ	**2106,4**

გრაფიკი #27



სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	ათას ლარში
სპორტული ღონისძიებები	130.0
სპორტული სკოლის ხელშეწყობა	327.0
საჭადრაკოსპორტის განვითარების ხელშეწყობა	69.3
სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	324.0
საცურაოსპორტის განვითარების ხელშეწყობა	205.0
სულ	**1055,3**

<u>სპორტული ღონისძიებები</u> - სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით.

პროგრამის მიზანია:

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოვება,

<u>სპორტული სკოლის ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

- ფეხბურთი
- მინი ფეხბურთი
- მაგიდის ჩოგბურთი

- რაგბი
- კარატე
- ფრენბურთი
- თავისუფალი სტილით ჭიდაობა

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (ფრენბურთი; ფეხბურთი; ჭიდაობა; რაგბი; კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბება.

<u>საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ქვეპროგრამის მიზანია:

მუნიციპალიტეტში საჭადრაკო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:

<u>სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა</u> - პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსის დაფინანსებას. კომპლექსში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

- კრივი;
- კიკბოქსინგი;
- კარატე;
- კარატე კიოკუშინკაი;
- სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში;

ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:

- სოფელ კარტიკამში კრივის სექცია -55 მოსწავლე;
- კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 28 მოსწავლე;
- ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;

პროგრამის მიზანია:

მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კინკბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:

<u>საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დახურული საცურაო აუზი. დაწესებულებში ფუნქციონირებს შემდეგი ცურვის და ფიტნესის სექციები.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საცურაო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბება.

<u>გრაფიკი #28</u>



კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 1051,1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 10 ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა	**ათას ლარში**
კულტურის ღონისძიებები	175.0
საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	134.4
საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	209.0
სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	196.5
სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	84.5
ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	65.4
აშუგის სკოლის ხელშეწყობა	34.6
მომავლის სახლის ხელშეწყობა	81.9
საინფორმაციო პროგრამა	62.8
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7.0
სულ	**1051,1**

<u>კულტურის ღონისძიებების დაფინანსება</u> - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას. გენდერული სხვადასხვა აქტივობების განსახორციელება.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;

<u>საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება, საბიბლიოთეკო გაერთიანების შემადგენლობაში შედის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკა.

- ლიტერატურის წრე;
- რესტავრაციის წრე.

<u>საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშიც შედის ახალქალაქის კულტურის სახლი და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული კლუბები, რომლის რაოდენობაც შეადგენს 32 კლუბს, ასევე მომავალი წლიდან იგეგმება კლუბის გახსნა სოფელ

ვარევანშიც. კლუბებში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფესტივალებში.

ახალქალაქის კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- სომხური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯავახკი“.
- ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“.
- ქართული თეატრი;
- სომხური თეატრი;
- თოჯინების თეატრი;
- ხალხური ინტრუმენტალური ანსამბლი;
- საესტრადო ანსამბლი;
- საბავშვო თეატრი.
- სულ: 200 მოსწავლე

კლუბებში გაერთიანებულია ანსამბლები "ჯავახკი" და "მურჯი", აგრეთვე თოჯინების თეატრი, და ა.შ. რაც ხელს უწობს ახალგაზრდებისათვის ხელოვნების მიმართულებით უნარ - ჩვევების განვითარებას.

<u>სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა, სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტალური უნარ - ჩევების შესწავლას ეუფლება 180 მოსწავლე

- ფორტეპიანო
- კლარნეტი
- აკორდეონი
- გიტარა

<u>სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა. 35 მოსწავლე ხატვას, დეკორატიულ ხელოვნებას, ქარგვას, ფერწერას და სხვა სახელოვნებო დარგს ეფულება 35 მოსწავლე, რაც ხელს უწობს მათ კულტრულ განვითარებას

- ფერწერა
- ნახატი
- დეკორატიული ხელოვნება
- კომპოზიცია
- ხელოვნების ისტორია

ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმში წარმოდგენილია არქეოლოგიური ექსპონატები, ეროვნული სამოსი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გამოჩენილი ადამიანების ძველი ხელნაწერები, სურათები, ნუმიზმატიკა, და ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები.

აშუღის სკოლის ხელშეწყობა- ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სააშუღო სკოლა. სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული უნარ - ჩევების შესწავლას ეუფლება 25 მოსწავლე

- აშუღის
- დოლი
- ფორტეპიანო
- დუდუკი
- აკორდეონი

მომავლის სახლის ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახალქალაქის მომავალის სახლი. კულტურათშორისი დიალოგის განვითარება- გაღრმავებას, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურის და ტრადიციების შენარჩუნება - განვითარება, მონაწილეთა შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამვლენა, უფრო მეტ ახალგაზრდას უჩნდება ხელოვნებისადმი ინტერესი.

- ინგლისური ენა;
- ქართული ენა;
- სომხური ენა;
- სამუსიკო;
- მძივების ქსოვა;
- თოჯინები;
- ქარგვა;
- ხელმარჯვე ოსტატები.

საინფორმაციო პროგრამა – პროგრამა ფარგლებში ფინანსდება როგორც მედია ისე საგაზეთო მომსახურებები. რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს გაეცნოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა– პროგრამა ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალურ „ გენდერული თანასწორობის საბჭოს“ სამოქმედო გეგმის აქტივობების განსახორციელება.

გრაფიკი #29



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 1 895,0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 10,1%-ს შეადგენს.

გრაფიკი #30



2024 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 84% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (1,575.0 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - (320,7 ათასი ლარი).

გრაფიკი #31





<u>საზოგადოებრივი ჯანმრთლობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა -</u> მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი;

დ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

ე) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

ზ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

- ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი);
- იმუნიზაციია;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის ახალქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 1,575.0 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 6 ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი	675,0
ახალგაზრდობის დახმარება	150,0
ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებისათვის	600,0
ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	20,0
მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება	50,0
ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად	80,0
სულ	**1,575.0**

<u>სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი</u> - პროგრამა ითვალისწინებს:

სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევების (სოციალურად დაუცველ, შშმ ბავშვები), ონკოლოგიური დაავადების მქონე მოსახლეობას ამ დაავადებისთვის გათვალისწინებული გამოკვლევები, სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა

დაფინანსება.მოსახლეობის გეგმური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების დაფინანსება.ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის და სს'სამედიცინო კორპორაცია ევექსი" ახალქალაქის ჰოსპიტალის შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტს მოსახლეობის (ასაკით პენსიოერების, 0-6 წლამდეე ბავშვების) სამედიცინო მომსხურეობის დაფინანსება:

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობის გეგმური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების (გარდა ონკოლოგიური დაავადების მქონე მოსახლეობის ამავე დაავადებისთვის) დაფინანსება განისაზღვროს შემდეგ კატეგორიებზე:

ა) მოქალაქეს, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულის რაოდენობა შეადგენს 0-დან 100 000-ის ჩათვლით (რომელშიც ოჯახის ფაქტობრივი მისამართი მითითებულია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია), დაუფინანსდება/აუნაზღაურდება ქირურგიული მომსახურება მოთხოვნილი გადასახდელი/გადახდილი თანხის 50%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.

ბ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა"; ქვეპუნქტი და მის მიერ გადასახდელი/გადახდილი თანხა აღემატება 800 (რვაას) ლარს, დაფინანსება მოხდეს შემდეგი ლიმიტებით:

ბ.ა) თუ გადასახდელი/გადახდილი თანხა არის 800-დან 1000 ლარამდე, ერთჯერადად დაუფინანსდება/აუნაზღაურდება ქირურგიული მომსახურება მოთხოვნილი გადასახდელი /გადახდილი თანხის , 30%-მდე არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა;

ბ.ბ) თუ გადასახდელი/გადახდილი თანხა აღემატება 1000 (ერთი ათასი) ლარს, ერთჯერადად დაუფინანსდება/აუნაზღაურდება ქირურგიული მომსახურება მოთხოვნილი გადასახდელი/გადახდილი თანხის 30%-მდე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა;

ბ.გ) თუ გადასახდელი/გადახდილი თანხა აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს, ერთჯერადად დაუფინანსდება /აუნაზღაურდება ქირურგიული მომსახურება მოთხოვნილი გადასახდელი/გადახდილი თანხის 30%-მდე არაუმეტეს, 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარისა.

ონკოლოგიურ დაავადებების მქონე პირებს და შშმ ბავშვებს ყველა სამედიცინო მომსახურეობისთვის 100%-ამდე 1500 ლარამდე.

მოსახლეობის ქირურგიული მომსახურეობისთვის (გადახდილი /გადასახდელი თანხა 800 ლარზე მეტი) მოთხოვნილი გადასახდელი თანხის მიხედვით 30%-ამდე , ერთჯერადად, არაუმეტეს 2000 ლარისა.

მოსახლეობის მკურნალობის ხარჯების დასაფინანსებლად თუ ხარჯი აღემატება 5000 ლარს დაუფინანსდება ერთჯერადად გადახდილი / გადასახდელი თანხის 30 % არაუმეტეს 2000 ლარისა.

ახალდაბადებულების დახმარება - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დახმარება, ახალშობილის შეძენის შემთხვევაში. პირველი და მეორე ბავშვის შეძენაზე ოჯახი მიიღებს 350 ლარი, მესამე ახალშობილისთვის – 500 ლარი,მეოთხე ახალშობილისთვის – 800 ლარი, შემდგომი ყოველი ახალშობილისთვის 300 ლარით მეტი.

ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახების 0-100 000 ქულამდე დახმარების ოდენობა 200-1500 ლარ, სოციალური მდგომარეობიდან და დამატებით გამივლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე პროგრამით სარგებლობენ: მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი)-ერთჯერადათ 400 ლარიდან და შემდგომყოველ შვილზე დაემატოს 100 ლარი 84 ბენეფიციარი, იძულებით გადაადგილებულ პირები – დევნილები ერთჯერადათ 300 ლარის ოდენობით 34 ბენეფიციოარი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის თითოეულ დედით და მამით ობოლ ბავშვს, ასევე მამის და დედისგან მიტოვებულ ბავშვებზე. დახმარება ერთჯერადია და განისაზღვრება თითოეულ ობოლ ბავშვზე 800 ლარის ოდენობით 4 ბენეფიციარი.

შშმ პირები- მკვეთრად გამოხატული ხარისხი, ერთჯერადათ 300 ლარის ოდენობით .

შშმ მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის 200 ლარი, შშმ ზომიერად გამოხატული ხარისხის 100 ლარი.

მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე, დამოუკიდებლად გადაადგილების პრობლემების მქონე (ეტლით მოსარგებლე) , ფსიქოლოგიური დაავადებების მქონე , მუდმივად მწოლიარე (საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ მომვლელს) , მხედველობით (უსინათლო) ან/და სმენადაქვეითებულ , ცერებრალური დამბლით, დაუნით და აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარებს, 1500 ლარის ოდენობით.

შშმ ბავშვები 18 წლამდე 500 ლარის ოდენობით 83 ბენეფიციარი, ერთჯერადათ, დიალიზის კურსზე მყოფი პირები-ერთჯერადათ 2000 ლარის ოდენობით 18 ბენეფიციარი, 100 წელს გადაცილებული პირები ერთჯერადათ 500 ლარის ოდენობით 2 ბენეფიციარი. ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან

დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება, ქვეპროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები.

ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ფართის დაზიანების, საცხოვრებლად გამოუსადეგარ, ავარიულ სახლში/ბინაში ცხოვრების შემთხვევაში ერთჯერადათ 1500 ლარამდე სამუშაო ჯგუფის ადგილზე შეფასების შედაგად.

ეს ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართზე ხანძრით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 2000 ლარამდე საცხოვრებელ ფართზე, ხოლო არასაცხოვრებელ ფართზე არაუმეტეს 500 ლარი.

.ასევე ამ ქვეპროგრამით სარგებლობენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახები ან/და მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც ცხოვრება უხდებათ ღია ცის ქვეშ, არაადამიანურ პირობებში ან ნებისმიერ სხვა ცხოვრებისთვის მიზანშეუწონელ ადგილას უზრუნველყოფილნი იქნებიან დროებითი საცხოვრებელი ფართით ან ქირით თვეში არაუმეტეს 200 ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: აკრედიტებულ სასწავლებლებში სწავლის (საბაკალავრო) საფასურის დაფინანსება, დახმარება გაეწევა სტუდენტებს შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე (მკვეთრად,მნიშნელოვნდ გამოხატული ხარისხი), დედმამით ობლები, მარჩენალდაკარგული (25 წლამდე), მრავალშვილიანი ოჯახებიდან (4 ან მეტი შვილი, 25 წლამდე) , სოცილურად დაუცველი ოჯახებიდან, სტუდენტებს იმ ოჯახებიდან, რომელ ოჯახშიც არის სამი ან მეტი სტუდენტი, მარტოხელა მშობელი სტუდენტები . დაფინასდება სწავლის საფასურის 50% არაუმეტეს 1000 ლარის. აგრეთვე ა(ა)იპ – სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება შემდეგ კატეგორებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შვილები, შშმ ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახებიდან ბავშვები, დედით ან/და მამით ობოლი ბავშვები, სოცილურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვები. პროფესიულ კოლეჯების სწავლის საფასური.

ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად - გათვალისწინებულია ფინანური დახმარების გაწევა მედიკამენტებისათვის, შესაბამისი საჭიროების მქონე პირების სამედიცინო საშუალებებით უზრნველყოფა. დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველ პირებზე 100 000 ქულამდე არაუმეტეს 600 ლარი , შშმ ბავშვებზე არუმეტეს 1000 ლარი,შშმ ვეტერანებზე არაუმეტეს 600 ლარი, ონკოლოგიური დაავადებისმქონე პირებზე არაუმეტეს 1000 ლარი, ოფთალმოლოდიური დაავადების მქონე პირებზე ავასტინის ინექციის

საჭიროების შემთხვევაში არუმეტეს 1000 ლარი. შშმ მკვეთრად , მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე პირებს მედიკამენტების შესაძენად 600 ლარამდე.

გრაფიკი #32





ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2022-2024 წლების მიხედვით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 66912,4 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #33-ზე და #34 გრაფიკებზე:

გრაფიკი #33



გრაფიკი #34



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 40% (26,0 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, ამ მუხლით გაწეული ხარჯი ბოლო 3 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან გაწეულ ხარჯებს;

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიის მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 16,6 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 26%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯება 9,5 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 15%-ია და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #33 და #34 გრაფიკებზე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #35-ზე.

გრაფიკი #35


მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2022-2024 წლებში
კაპიტალური ხარჯები, 40%
მიმდინარე ხარჯები, 60%


მიმდინარე ხარჯები 2022-2024 წლებში
სხვა ხარჯები 5%
შრომის ანაზღაურება 14%
სოციალური უზრუნველყოფა 11%
პროცენტები 0%
საქონელი და მომსახურება 25%
სუბსიდიები 44%
გრანტები 1%